საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1012

თბილისი „09“ 09 2015 წ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2015 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით განაცხადის შევსების ვადების დადგენის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, 24[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 07 სექტემბრის N856607 მომართვისა და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 08 სექტემბრის N865370 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2015 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით განაცხადის შევსების ვადები დადგინდეს 2015 წლის 14 სექტემბრიდან 2015 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

_____ 08.09.2015 /ლელა შეწირული/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან

_____ 09.09.2015 /ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

_____ 09.09.2015 /დავით ლომინაშვილი/

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან

_____ 09.09.15 /ირინა წეროძე/

მინისტრის პირველ მოადგილესთან

_____ /ქეთევან ნატრიაშვილი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანთლებლო დაწესებულებისათვის გაცნობის მიზნით);
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
4. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
5. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;
6. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.